ბ რ ძ ა ნ ე ბ ა # 15-03/07-01

ქ. თბილისი 30 ივლისი, 2025 წელი

„გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში 2025 წლის 16 აპრილს შეტანილი ცვლილებებით განსაზღვრული ვალდებულებების განხორციელების მიზნით, 2025 წლის 7 ივლისის #250 უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის გაცემის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ დადგენილების და ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

SCIENTIA · LABOR · LIBERTAS
აგრარული უნივერსიტეტი

საქართველოს
აგრარული
უნივერსიტეტი
ა(ა)იპ
კახა ბენდუქიძის კამპუსი
დავით აღმაშენებლის
ხეივანი #240, 0159,
თბილისი, საქართველო

AGRICULTURAL UNIVERSITY
OF GEORGIA
NNLE
Kakha Bendukidze Campus
#240 David Aghmashenebeli
Alley, 0159, Tbilisi, Georgia

+(995 32) 2 200 901
info@agruni.edu.ge
www.agruni.edu.ge

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის **„საგრანტო დაფინანსების მოპოვების წესი"** შემდეგი რედაქციით:

1.1. ამ წესებით დადგენილი პროცედურის დაცვის გარეშე უნივერსიტეტი ვერ გაიზიარებს პასუხისმგებლობას საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერით.

1.2. „საგრანტო დაფინანსების მოპოვების წესის" მიზანია „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში 2025 წლის 16 აპრილს შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, სუბიექტებზე დაკისრებული რეგულატორული ვალდებულებების გათვალისწინების შიდაინსტიტუციური სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბება.

1.3. „საგრანტო დაფინანსების მოპოვების წესი" ვრცელდება საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ ნებისმიერ პირზე, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სახელით დონორისაგან გრანტის მიღებით.

1.4. საწყის ეტაპზე, ინიციატორი პირი/წინადადების წარმდგენი პირი წერილობით ინფორმაციას აწვდის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერს. ინფორმაციაში აღწერილი უნდა იყოს გრანტის გამცემი (დონორი),

გრანტის მიზანი, მისი აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, მოცულობა, სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულება, ვადები და ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც გრანტის გამცემი (დონორი) უყენებს გრანტის მიმღებს. ასევე, ყველა ის დამატებითი ინფორმაცია, რასაც ინიციატორი/წინადადების წარმდგენი პირი ფლობს ინიციატივის/წინადადების თაობაზე.

1.5. საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერის მიერ ინიციატივის/წინადადების შესახებ წარდგენილი წერილობითი ინფორმაციის შესწავლის შემდეგ აღნიშნული საკითხის განხილვა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის/პრორექტორის მონაწილეობით და მიიღება გადაწყვეტილება გრანტის პროექტის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენაზე თანხმობის თაობაზე.

1.6. უნივერსიტეტის საქმიანი რეპუტაციისადმი და ავტორიტეტისადმი შესაძლო ზიანის მიყენების გამორიცხვის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის მიერ საკითხის შესწავლამდე დაუშვებელია ინიციატორის/წინადადების წარმდგენის ისეთი ინტერაქცია პოტენციურ დონორთან ან/და ისეთი საკითხების განხილვა, რაც დონორის მხრიდან შესაძლოა აღქმულ იქნეს წინასწარ შეთანხმებად ან უნივერსიტეტის მხრიდან ინტერესის დადასტურებად.

1.7. უნივერსიტეტის რექტორის/პრორექტორის მონაწილეობით ჩატარებული განხილვის შედეგად, უნივერსიტეტის რექტორის მიერ მიიღება გადაწყვეტილება დონორთან კომუნიკაციის ან/და მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, განისაზღვრება მოლაპარაკებებში მონაწილე პირები და მათი უფლებამოსილების ფარგლები.

1.8. ინიციატივის/წინადადების/პროექტის დაფინანსების თაობაზე დონორის მზაობის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაცია, მთავრობისთვის შესათანხმებლად წარდგენამდე, წერილობით უნდა მოეწოდოს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერს.

1.8.1. კერძოდ, მოწოდებული უნდა იყოს:
1.8.1.1. გრანტის ხელშეკრულების წერილობითი პროექტი და

1.8.1.2. საქართველოს მთავრობის დადგენილება #250-ით (უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის გაცემის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ დადგენილება) განსაზღვრული დანართი #1 შევსებული ფორმით.

1.9. ზემოაღნიშნული საკითხის განხილვა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის/პრორექტორის მონაწილეობით და მიიღება გადაწყვეტილება გრანტის პროექტის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენაზე თანხმობის თაობაზე.

2. ეს ბრძანება განთავსდეს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (https://agruni.edu.ge/ge/about-us/?about-us=Documents).

3. დაევალოს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერს ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

რექტორი **ვახტანგ ლეჟავა**

211325653